

კასია

ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიას ამშვენებს კანონების ავტორი პოეტი ქალის კასიას შემოქმედებაც. მართალია, პოეტის სახელი ბიზანტიელ ისტორიკოსებთან და მის თხზულებათა ხელნაწერებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება (Kasia, Kassia, Sīkasia, Ikasia, Kasianh), მაგრამ, როგორც ეს კ. კრუმბახერმა დაადგინა,¹ სინამდვილეში პოეტს კასია (Kasia) ან კასსია (Kassia) ერქვა, ეს სახელი ძველ აღთქმაში, კერძოდ, იობის წიგნში გვხვდება, სადაც ვკითხულობთ, რომ იობმა მისი სამი ასულიდან კასია მეორეს უწოდა (4, 14). კასიას პოეტურ ქმნილებათა ქართულ თარგმანებშიც, რომელნიც ჩვენამდე XI-XVIII საუკუნეების ხელნაწერებითაა მოღწეული, მისი სახელი ასევე რამდენიმე ფორმით გვხვდება: კასია, იკასია, კასიანა, რაც, ალბათ, ბერძნული დედნის სხვადასხვა ხელნაწერიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელთაგანაც ტექსტებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთარგმნელი თარგმნიდა.

კასიას ცხოვრებას IX-XIV საუკუნეების ისტორიკოსები გადმოგვცემენ. მათგან ყველაზე სანდო და ადრეული სიმეონ მაგისტროსისა და გიორგი ამარტოლის ცნობებია. ქრონისტების განსაკუთრებული ინტერესი კასიას პიროვნებისადმი მისმა უჩვეულო თავგადასავალმა, კერძოდ, იმპერატორ თეოფილესთან ურთიერთობამ განაპირობა. სიმეონ მაგისტროსის ცნობით, 823 წელს იმპერატორმა თეოფილემ, დედის, ეფროსინეს, რჩევით (თანამედროვე მეცნიერებაში გიორგი კედრენეს (XII ს.) ცნობაზე დაყრდნობით მიჩნეულია, რომ დედოფალი ეფროსინე არა დედა, არამედ დედინაცვალი იყო თეოფილესი) საცოლის შესარჩევად იმპერიის ყოველი კუთხიდან სასახლის კარზე ულამაზესი და უბინო ქალწულები მოიწვია.

¹ მკვლევარს ეს თვალსაზრისი განუმტკიცა პოეტის „კანონმა“ მიცვალებულთათვის, რომლის აკროსტიქშიც ავტორის სახელი – კასია (Kassia) იკითხება.

მათგან იმისთვის, ვინც მოეწონებოდა, იმპერატორს ოქროს ვაშლი უნდა გადაეცა. თეოფილე კასიას სილამაზით მოიხიბლა და მასთან შეჩერდა, მაგრამ ვიდრე ვაშლს გადასცემდა, ჰკითხა: „ხომ ქალისაგან წარმოიშვა ბოროტებანი?“ რაზეც ქალწულმა მორცხვად უპასუხა: „მაგრამ ქალისგან სიკეთენიც მომდინარეობს“.² ეს ძალიან გაბედული პასუხი იყო, რადგან ერთი შეხედვით უწყინარ კითხვა-პასუხს სინამდვილეში საღმრთისმეტყველო შინაარსი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ თეოფილე ხატმბრძოლობის ერესის მიმდევარი იყო, რომლის მიხედვითაც ღმრთის გამოსახვა იკრძალებოდა, მაგრამ რამდენადაც ლოგოსმა, სიტყვა ღმერთმა კაცობრივი ბუნება შეიერთა, იესო ქრისტე არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ღმერთკაცია, ამიტომ მისი ხატის უარყოფა მისი კაცობრივი ბუნების ანუ ყოვლადწმინდა ქალწულისაგან მისი შობის უარყოფასაც ნიშნავს. ამიტომაც გაალიზიანა იმპერატორი კასიას პასუხმა, რომელმაც მის კითხვაში ნაგულისხმევ ევას, ვინც ადამს ცდუნებისაკენ უბიძგა, ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი დაუპირისპირა, ვისგანაც ცოდვით დაცემული კაცობრიობის მხსნელი, განკაცებული ღმერთი იშვა. მეფე მიხვდა, რომ მის წინ მდგომი ქალწული ხატთაყვანისმცემელი იყო, ამიტომ გვერდი აუარა, და ოქროს ვაშლი სხვა ქალწულს, პაფლაგონიელ თეოდორას გადასცა. დაახლოებით ასევე გადმოსცემს ამ ამბავს გიორგი ამარტოლიც (IX ს.) „ხრონოგრაფში“, მაგრამ სიმეონისაგან განსხვავებით, იგი გაბედულად კიცხავს თეოფილეს ერესის მიმდევრობისათვის და მას ღმრთის მოძულეს, ხატთა შეურაცხმყოფელსა და უწმინდურს უწოდებს; გარდა ამისა, აზუსტებს კერძოდ, სასახლის რომელ დარბაზში იყვნენ შეკრებილნი ქალწულები – ნიშნობა ე. წ. „მარგალიტის დარბაზში“ შემდგარა.³ რაც შეეხება

² სიმეონ მაგისტროსი, ქრონიკები, Migne, PG, t. 109, 675.

³ გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, Migne, PG, t. 110, 1008.

თეოფილეს მიერ საცოლის ამორჩევისა და ქორწინების თარიღს, სიმეონ მაგისტროსი 823 წელს ასახელებს, გიორგი ამარტოლი 826 წელს, ხოლო ლეონ გრამატიკოსი – 830 წელს. ამათგან ყველაზე მისაღები 823 წელი ჩანს.⁴ აქედან გამომდინარე, რამდენადაც, ტრადიციის მიხედვით, დედოფლობისათვის, ჩვეულებრივ, 19-21 წლის ახალგაზრდა ქალებს ირჩევდნენ, მომავალი პოეტი დაახლოებით 800-805 წლებში უნდა დაბადებულიყო.

კასიას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ თეოფილე ხატმბრძოლი იყო, და ისიც იცოდა, რა შეიძლებოდა მის პასუხს მოჰყოლოდა, მაგრამ თვალთმაქცობასა და ამ გზით მოპოვებულ დედოფლობას, სარწმუნოების დაცვა ამჯობინა, და, მართალია, დედოფლის ტახტი და ოქროს გვირგვინი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ უხრწნელი გვირგვინი მოიპოვა და წარმავალი მეფის ნაცვლად, მარადიული მეუფის სასძლო გახდა; იგი მონაზვნად აღიკვეცა და დედაქალაქში საკუთარი მონასტერი დააარსა, სადაც აღესრულა კიდევც.

კასიას ბიოგრაფოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მან მრავალი ნაწარმოები შექმნა. გიორგი ამარტოლი ორ მათგანსაც კი ასახელებს, ესენია: „დიდისა ოთხშაბათისათვის“ ანუ „უფალო, მრავალთა ბრალთა დანთქმულმან“ და „ტეტრადიონი დიდისა შაბათისა“. აღსანიშნავია, რომ კასია არა მხოლოდ პოეტი, არამედ კომპოზიტორიც ყოფილა; რომანოზ მელიოდოსის მსგავსად, როგორც ამას მე-12 საუკუნის ცნობილი პოეტი თეოდორე პროდრომოსი გადმოგვცემს თავისი პოეტური ქმნილებებისათვის მუსიკალურ კომპოზიციებსაც თვითონვე თხზავდა. კასიას კომპოზიტორობას კონსტანტინეპოლის ღირსშესანიშნაობათა აღმწერი გიორგი კოდინიც ადასტურებს, როცა გვამცნობს, რომ მშვენიერმა და ყოვლად ბრძენმა ღირსმა მონაზონმა კასიამ მრავალი

⁴ თ. მესხი, ბრძენი ქალწული, თბ., 1987, გვ. 12-13.

კანონი, სტიქარონი და ბევრი სხვა საოცრება დაწერა და მუსიკაც შეთხზა მათთვის (PG, t. 157, 608).

კასიას თავისი საგალობლებით სახელი იმდენად გაუთქვამს, რომ ხშირად მას სხვის ნაწარმოებებსაც მიაწერდნენ, მაგრამ ხდებოდა პირიქითაც; იმ მიზეზით, რომ თითქოს ქალებს ლიტურგიკულ თხზულებათა შეთხზვა ეკრძალებოდათ, მის საუკეთესო ნაწარმოებებს სხვათა სახელებით ავრცელებდნენ. ასეთი შეხედულება ლიტურგიკულ თხზულებებთან ქალთა მიმართებაზე საეკლესიო წრეში მართლაც არსებობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას საყოველთაო ხასიათი არ ჰქონია, ანუ ზოგადად ეკლესიის პოზიციას არ გამოხატავდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კასიას საგალობლები ცნობილი ჰიმნოგრაფოსების გვერდითაა შეტანილი როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში. რაც მთავარია, ისინი ისეთ დიდ საუფლო დღესასწაულებზეც კი სრულდება, როგორც მაცხოვრის შობა და აღდგომაა.

კასიას შემოქმედების მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ იმპერატორის საცოლედ ასარჩევად იმპერიის ყველა მხრიდან სასახლის კარზე ულამაზესი ქალწულების მოწვევა, ოქროს ვაშლის ისტორიაცა და თეოფილესა და კასიას დიალოგიც ხატმბრძოლობის დროს შექმნილი ლეგენდაა მითოსური ელემენტებით. ამ შეხედულების დასამტკიცებლად ძირითად საბუთს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ პირველი ქრონისტები, რომელნიც ამ ამბავს გვიყვებიან, კასიაზე ერთი საუკუნით გვიან ცხოვრობდნენ, მაშინ როცა პოეტი ქალის თანამედროვეებს თეოფილესა და კასიას შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ ბიზანტიის სამეფო კარზე გამართული თეოფილეს

ნიშნობის ამბავი მომდევნო ხანის ქრონიკების მიერ ხალხური მოტივებისა და გადმოცემების საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი.⁵

ამგვარი თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ბიზანტიის იმპერიაში მართლაც არსებობდა ტრადიცია იმპერიის სხვადასხვა მხარეში სპეციალურად შერჩეული პირების წარგზავნისა იმპერატორისათვის საცოლის ამოსარჩევად. მომავალ დედოფალს, გარდა მაღალი არისტოკრატიული წარმომავლობისა, მშვენიერი გარეგნობაც მოეთხოვებოდა. ხორციელ სილამაზეს იმდენად დიდი უპირატესობა ეძლეოდა, რომ თუ ქალწული ღმრთისაგან უჩვეულო სილამაზით იყო დაჯილდოებული, შეიძლებოდა ბიზანტიის დედოფლის ტახტზე დაბალი წარმომავლობის მიუხედავადაც ასულიყო.

ზემოაღნიშნული ტრადიცია რომ იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებშიც არსებობდა, ამაზე ბოლო იმპერატორის, კონსტანტინე XI-ისათვის საცოლის შესარჩევად სამეფო კარიდან პომპეზურად გამგზავრებული ელჩობაც მოწმობს. ამ ელჩობის სინამდვილე ეჭვისათვის არავითარ საბაბს არ იძლევა, რადგან მას თვით ელჩობის მეთაური, ისტორიკოსი გიორგი ფრანძესი მოგვითხრობს.⁶ გიორგი ფრანძესმა მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად ტრაპიზონი და იბერია მოიარა, რომელთა მეფეების ასულებიც სამეფო კარს იმპერატორის საცოლეებად ეგულებოდა და ბოლოს არჩევანი იბერიის მეფის, გიორგი მერვის ასულზე შეაჩერა. მართალია, ქორწინება არ შედგა, რადგან კონსტანტინე XI დედაქალაქის დასაცავად თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ ფაქტია, რომ ბიზანტიელებმა იმპერატორისათვის

⁵ I. Rochow, Studien zu der Person, den Werken und dem nachleben der Dichterin Kassia, Berlin. 1967, გვ. 10-14.

⁶ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, გვ. 74.

საცოლის შერჩევის ზემოთ აღწერილი ტრადიციის ერთგულება ბოლომდე შეინარჩუნეს.

არც არჩეული საცოლისათვის თეოფილეს მიერ ოქროს ვაშლის გადაცემაშია არაფერი მოულოდნელი და დაუჯერებელი. ბერძნებს ისეთი მდიდარი მითოლოგია ჰქონდათ, რომ მითოსურმა სიმბოლოებმა, რომელთაც, რელიგიური დატვირთვა არ ჰქონდათ, თავიანთი მნიშვნელობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ძველ ეპოქაში ვაშლი სიყვარულის, უკვდავების, მარადიულობის სიმბოლო და ჯილდო იყო სილამაზისათვის (პარისის მიერ გადაცემული ვაშლი აფროდიტესათვის). ძველი აღთქმის მიხედვით, ვაშლი უშვილობის მკურნალია (დაბ. 30, 14-21), ხოლო ბიზანტიურ ეპოქაში – ამქვეყნიური მეფობის სიმბოლო. ბიზანტიის სამეფო კარზე ასეთი ტრადიციაც არსებულა: ქორწინებიდან მესამე დღეს დედოფალი მრავალრიცხოვანი ამალის წინამძღოლობით მაგნავრის სასახლეში მიემართებოდა აბაზანის მისაღებად. სამ უახლოეს ქალს, რომელიც ამალის ბოლოში დედოფალთან ერთად მიდიოდა, ხელში მარგალიტებით შემკული ვაშლები ეჭირათ – სავარაუდოდ, ნაყოფიერებისა და მეფობის სიმბოლო.⁷ პოეტი ქალისა და დედოფლის, ევდოკიას ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მას მეუღლემ, იმპერატორმა თეოდოსი II-ემ, ალბათ, სიყვარულის ნიშნად, უჩვეულოდ ლამაზი ვაშლი უძღვნა, რომელიც შემდეგ კარისკაცთა შორის ულამაზესი პავლინეს ხელში აღმოჩნდა. ვაშლის სიმბოლური დატვირთვიდან გამომდინარე, საკვირველი არაა, რომ თეოდოსი მცირემ მეუღლეზე იეჭვიანა და სამეფო კარიდან იერუსალიმში წარგზავნა, სადაც შემდეგში დედოფალყოფილმა მონასტერი დააარსა და მონაზვნად აღიკვეცა, ხოლო პავლინე სასახლიდან გააძევა.

⁷ Ш. Диль, Византийские портреты, Харьков, 1909, გვ. 12. თ. მესხი, ბრძენი ქალწული, გვ. 23.

ასე, რომ კასიას თავგადასავალში ბიზანტიური ყოფისათვის უჩვეულო და რეალობიდან დაშორებული არაფერია, თუმცა კ. კრუმბახერსაც და ს. ყაუხჩიშვილსაც უნდა დავეთანხმოთ, რომ პოეტი ქალის ცხოვრებას მართლაც დაჰკრავს ზღაპრული ელფერი, ან სულაც ზღაპრულია.⁸

პოეტი ქალის შემოქმედების შესასწავლად, რომელიც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, უნინარესად იმის დედგენა გახდა საჭირო, რომელი ქმნილებაა ნამდვილად მისი და რომელი მიეწერა, ამასთან აუცილებელია კვლევაც იმისა, რომელმა მისმა ქმნილებამ მოაღწია ჩვენამდე სხვისი სახელით.

ამგვარი კვლევის საჭიროებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მისი საუკეთესო და ყველაზე ცნობილი იდიომელონი „დიდი ოთხშაბათისათვის“ ერთ, იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით, პატრიარქ ფოტიოსს მიეკუთვნება, ხოლო ზოგიერთ ხელნაწერში ავტორის სახელია ამოღებული.

აღსანიშნავია, რომ ეს საგალობელი მარხვანში (ტრიოდინში) კერძოდ, დიდი ოთხშაბათის ცისკრის საკითხავებში შედის და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასში მეძავი ქალის სინანულით აღძრული მძაფრი განცდებია გადმოცემული. პოეტის შთაგონების წყარო სახარებაა. მახარებელი მოგვითხრობს, როგორ მივიდა ვინმე ფარისევლის სახლში სტუმრად მყოფ მაცხოვართან ცოდვილი დედაკაცი და თავისი ბიწიერი ცხოვრების გამო წრფელი სინანულით შეპყრობილმა როგორ დაბანა მას ცრემლებით ფეხები, საკუთარი თმებით შეუმშრალა და ნელსაცხებელი სცხო (ლუკ. VII, 36-50). კასიამ შეძლო ზუსტად შერჩეული პოეტური სახეებით გადმოეცა, კერძოდ, რას განიცდიდა ამ დროს მეძავი და როგორ ითხოვდა, უფლისაგან ვითარცა ყოვლად მონყალისაგან, შენდობას. პოეტი ერთგვარად უპირისპირებს „მრავალთა

⁸ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 174.

ბრალთაგან დანთქმულ“ დედაკაცს მნიგნობრებსა სა ფარისეველებს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ თავი მოჰქონდათ სჯულის ცოდნითა და მისი დაცვით, ქრისტეში ღმრთეება ვერ შეიცნეს:

„უფალო, მრავალთა ბრალთა დანთქმულმან დედაკაცმან იცნა ღმრთეებაჲ შენი დიდებული, და პირველ დაფლვისა შენისა ნელსაცხებელი მოგართუა და გოდებით კმობდა:

ვაიმე, რამეთუ

ბილწთა საქმეთა

წყუდიადსა შეუცავ

და ბნელსა ტრფიალებისასა შთაუნთქამ,

შეინირნენ წყარონი ცრემლთა ჩემთანი, სახიერ...

ცოდვებით დამძიმებულ ქალს ახსენდება შორეული წინაპარი ევა და მისი პირველქმნული ცოდვა, რომლის გამოც ესმა რა სამოთხესა შინა მავალი უფლის ფეხის ხმა, ადამთან ერთად დაიმალა და ვედრებით მიმართავს მაცხოვარს:

„დავალტვნე უხრწნელნი ფერკნი შენნი

და შევიტკბნე და წარვკოცე თმითა,

რომლისა ეგე

ზარითა დაიმალა ევა სამოთხეს,

ესმა რაჲ მიმწუხრი ფერკთა შენთა“.

დედაკაცს სასოება აქვს „სულთა მწყალობელი“ ღმრთისა, რომელიც არ უგულვებელჰყოფს ვედრებას მისი მხევლისა და შეინყალებს.

„კანონი მიცვალებულთათვის“, რომლის აკროსტიქიც კასიას ავტორობას ამოწმებს, ძველი – ცხრა ოდის ტრადიციითაა შექმნილი,

თუმცა მეორე ოდა აკლია.⁹ თითოეულ ოდაში სამ-სამი ტროპარი შედის რეფრენითურთ. საგალობლის ძირითადი პათოსი ქრისტიანული კაცთმოყვარებაა, რადგან პოეტს გარდაცვალებისა და ღმრთის წინაშე წარდგომის შემდეგ არა მხოლოდ საკუთარი ხვედრი აღელვებს, არამედ საერთოდ ადამიანებისა და „სიცოხლისა და სიკვდილის მეუფეს“ ევედრება, მოწყალება გამოიჩინოს და შეუნდოს მათ ნებსითი თუ უნებლიე შეცოდებანი.

კასიას საგალობლებს განსაკუთრებით ამშვენებს ანალოგიები, ბიბლიური ტექსტებიდან მოხმობილნი, რომელნიც თავს იმით გვამახსოვრებენ, რომ მათში გარეგნული მსგავსების მიღმა საპირისპირო შინაარსი იკითხება. მაგალითად, დიდი შაბათის ტეტრაოდონში ღმრთის წყალობასთან კაცთა მოდგის უმადურობაა შეპირისპირებული, კერძოდ, მაცხოვრის წყალობას, რომელმაც ებრაელებს დადევნებული ეგვიპტელები ზღვით დაფარა, მათმა შთამომავლობამ იმით უპასუხა, რომ ჯვარს აცვა და თვითონ იგი დაფარა მიწით:

„რომელმან დაფარა
სიღრმესა მდევარი,
ესე დღეს დაფარეს
ქვეყანასა შინა
შვილთა მათ ზღუსა კსნილთაჲსა“...

ან:

„შენ დამკიდებელი
წყალთა ზედა ქუეყანისასა,
გიხილეს რაჲ შექმნილთა
დამოკიდებული თხემისა ადგილსა
მრავლისამიერ განცვიფრებისა.

⁹ კანონიდან მეორე ოდის ამოღების მიზეზზე იხ. გვ. 231.

არავინ არს წმიდა შენსა გარეშე,

არცა მართალ, უფალო,

თუნიერ შენსა“. („დიდი შაბათისათვის“).

აქაც იგივე უმაღურობა და ამპარტავნება ცხადდება კაცთა მოდგმისა, რომელმაც ყოვლადძლიერი შემოქმედი სამყაროსი, ვინც წყალნი დედამიწაზე ისე დაკიდა, რომ მდგომარეობას არ იცვლიან, გოლგოთას მთაზე აღმართულ ჯვარზე თვითონ ჩამოჰკიდა.

სახარების ტექსტის ცნობიერი აღქმა კასიას მასში გამოყენებული მხატვრული სახეების განმარტება – გათვალსაჩინოებაში ეხმარება. მაგალითად, მისი განმარტებით, ეპითეტი „ქუეყანისა ანგელოზი“, რომელიც სახარებაში იოვანე ნათლისმცემელს ეწოდება, იმაზე მეტყველებს, რომ ღვანლი, რომელიც მან გასწია, ბევრად აღემატებოდა კაცობრივ ბუნებას და უფრო უხორცო არსებათა – ანგელოზთა შესაფერისი იყო:

„კაცი იყო ბუნებით, ხოლო ცხოვრებითა

ანგელოზი, რამეთუ მსგავსად მისა

სინმიდე და ქალწულებაჲ შეიტკბო;

ჯორცნი ემოსნეს,

არამედ უმაღლეს ჯორცთაჲსა გამოჩნდა

და უზეშთაეს ბუნებისა იღვანა“.

(„იოვანე ნათლისმცემლისათვის“).

კასიას შემოქმედების მეორე მხარეს გნომური პოეზია (შეგონებანი) წარმოადგენს, რომელიც მეცნიერებისათვის შედარებით გვიან, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ცნობილი. გნომების პირველი კრებული 1892 წელს გამოსცა პ. ლამბროსმა, ხოლო მეორედ 1897 წელს გამოიცა კ. კრუმბახერის მიერ. იგი 261 გნომს შეიცავს და ჯერჯერობით ყველაზე სრულ გამოცემად რჩება.

გნომები, რომელნიც, რაც შეიძლება ბრძნულ შეგონებას შეძლებისდაგვარად მოკლედ და სხარტად გადმოცემენ, როგორც ვნახეთ, ქრისტიანულ მწერლობაში პირველად წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველმა გამოიყენა. ისევე როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველის გნომური პოეზია, კასიას გნომებიც (ბრძნული შეგონებანი) მათი ავტორის რელიგიურ მრწამსს გამოსატყვევებელი და ქრისტიანული ზნეობის დაცვისაკენ მოგვიწოდებენ.

პოეტი ქალის შეგონებათა დიდი ნაწილი მეგობრობის თემას ეხება და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ადამიანი არა მარტოობისთვისაა შექმნილი, არამედ იმისთვის, რომ თვითონაც უყვარდეს და ისიც უყვარდეთ. მაგრამ ადამის მოდგმის ცოდვით დაზიანებულ ბუნებას უჭირს ასრულება მაცხოვრის მცნებისა – **იყუარებოდეთ ურთიერთას** და მიბაძვა განკაცებული ღმრთისა, რომელმაც მისი ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან გამოსხნისათვის მსხვერპლად საკუთარი თავი გაიღო. ამიტომ ყველაზე მდიდარი ისაა, ვინც ჭეშმარიტად მოყვარულ მეგობარს იპოვნის და ცხოვრების გზაზე დაიმგზავრებს:

„რა თქმა უნდა, ოქროსა და მასრგალიტზე უმჯობესია

სიმრავლე მეგობართა, რომელთაც ერთმანეთი ჭეშმარიტად უყვართ“

განსაკუთრებული ფასი მეგობრობას მწუხარებისა და გასაჭირის ჟამს ედება, რადგან:

„მწუხარებაში მყოფი უახლოეს მეგობართა შორის

ჰპოვებს მძიმე ტკივილთაგან შვებას“.

გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს ამქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებას მეგობართან ყოფნა და მათთან საუბარი ანიჭებს:

„მწუხარების ჟამს საყვარელ მეგობრებთან საუბარი

ყოველგვარ თაფლსა და ნუგბარ კერძზე უფრო საამოა“,

ჰყავს თუ არა ნამდვილი მეგობარი, ამას ყველაზე უკეთ ადამიანი სწორედ განსაცდელში ჩავარდნისას შეიცნობს, „რადგან ის, ვისაც მართლა უყვარს, არ განუდგება“.

ჭეშმარიტი მეგობრობა მხოლოდ გულწრფელთა შორის შეიძლება არსებობდეს. საპირისპირო შემთხვევაში არა მეგობრობასთან, არამედ შენიღბულ მტრობასთან გვექნება საქმე:

„დაე, მეგობარი ენოდოს მოყვარულს უზაკველად,
ხოლო მზაკვრულად მოყვარული არათუ მეგობარი, შენი მტერია“.

რა თქმა უნდა, როგორც ამას ქრისტე გვასწავლის, ადამიანს მტერიც უნდა უყვარდეს, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს, რომ მისი ნდობა არ შეიძლება:

„გიყვარდეს ყველა, მაგრამ ყველას ნუ ენდობი“.

სინამდვილეში არ არსებობს მლიქვნელთა სიყვარული, – გვასწავლის კასია, რადგან ისინი იმ ქება-დიდებით, რომლითაც თითქოს სიყვარულს გამოხატავენ, სარგებლის მიღებას განიზრახავენ:

„მლიქვნელთა სიყვარული – ვითარცა ნახატნი იარაღნი
გაცდუნებენ მამებელი ქება-დიდებით“.

სიმდიდრეს კაცისთვის არც სარგებლობა მოაქვს და არც სიამოვნება, თუკი იგი მეგობართა გარეშე ცხოვრობს:

„უსარგებლოა სიმდიდრე, თუკი არ გყავს მეგობარი,,
ან:

„ვითარცა ბნელ სახლს აკლა ლაზათი,
ასევე სიმდიდრესაც, გარეშე მეგობართა“.

მართალია, ყველაზე დიდი განძი, რომლის მოპოვებაც კი ადამიანს თავისი ცხოვრების განმავლობაში შეუძლია, მეგობრობაა, მაგრამ მან უნდა შეძლოს გულისხმისყოფა იმისა, ვის მიუძღვნას თავისი წრფელი

სიყვარული, რათა მისგანაც საპასუხოდ იგივე მიიღოს. ამიტომაც შეგვაგონებს კასია:

„მოყვარული მეგობარი სიყვარულით გაახარე,
უმეცრის სიყვარული კი, ფუჭი საქმეა“.

და კიდევ:

„გონიერი მეგობრისაკენ, ვითარცა ოქროსკენ, ისე ისწრაფე,
სულელს კი ისე გაექეცი, ვითარცა გველს“.

ბიბლიური სწავლებითაა შთაგონებული პოეტის შეხედულება შურზე, რომელიც ყველაზე მეტად აბნელებს ადამიანში ღმრთის ხატს და უკარგავს შემოქმედთან მსგავსებას:

„შურო საძაგელო, ნეტავ ვინ არს მშობელი შენი,
ვინ დაგამარცხებს, ან ვინ გაგაქრობს,
შენგან მომეცა ამპარტავნება,
შენ წარმიხოცე სიყვარული მოყვასისადმი
და შემირყიე შიში ღმერთისა
და თავმდაბლობაც სრულად წამართვი“.

კასია ევედრება ღმერთს იხსნას შურის განცდისაგან, მაგრამ იმავდროულად იმასაც სთხოვს, რომ თვითონ აქციოს შურის ობიექტად მისთვის სათნო კეთილი საქმეებით:

„შურს ნუ მიმცემ მე ქრისტე, სიკვდილამდე,
მაგრამ გამხადე ღირსი შეშურების,
რამეთუ მწყურის ფრიად,
რომ შურდეთ ჩემთა საღმრთო საქმეთა“.¹⁰

მეტი წილი კასიას გნომებისა ერთ ან ორ სტრიქონიანია. ისინი ძირითადად იწყება სიტყვებით „უმჯობესია“ (krēisson), ან „მძულს“ (misw̃).

¹⁰ შეგონება იმდენად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ამავე თემზე დაწერილ გნომთან, რომ ადვილი შესაძლებელია, მისითაც იყოს შთაგონებული: „სასიამოვნო აღძრა შური შენ მიმართ, მაგრამ დიდი სირცხვილია, შენ თავად გშურდეს“.

ბუნებრივია, პოეტს მოსწონს ის თვისებები, რომელნიც ადამიანში ღმრთის ხატს წარმოაჩენენ და პირიქით. მისი რწმენით, უღირსებთან ურთიერთობას მარტოობა სჯობს, მდაბალ სიამოვნებას – ავადმყოფობა, ბოროტ ძლიერებას – უძლურება, უსაფუძვლო ლაპარაკს – დუმილი, უსამართლოდ გამარჯვებას – დამარცხება. კასიას სიძულვილს იწვევს განკითხვა დიდი ცოდვის ჩამდენისგან შედარებით პატარა ცოდვის ჩამდენისა, კეთროვანისაგან გაძევება კეთროვანისა, თავის დადება უმეცარისაგან სიბრძნის სიყვარულისა, გარემოებათა მიხედვით ცვალებადობა მოსამართლისა, უდარდელი ძილი მოვალისა, არ დაფასება პატარისაგან დიდისა, სითამამე უსირცხვილოსი, სიტყვამრავლობა უდროობისას და დუმილი თქმის ჟამისას, სწავლება სხვებისა სრულიად უვიცისაგან და ა. შ.

სახარებისეულ სწავლებას ემყარება პოეტის შეგონებანი ფიცის შერსახებ. მაგალითად, „მართალ კაცს ფიცი არ სჭირდება“; „მართალი კაცის სიტყვა ფიცის მსგავსია, ცბიერისა კი – სიცრუე“; ცუდია დაფიცება, მაგრამ უარესი – მისი გატეხა“. კასიას გნომებში გაკიცხულია ასევე ანგარებისმოყვარეობა. სიძუნწე, მაგრამ განსაკუთრებით მკაცრად განსჯილი სიბრიყვეა, რომელიც მისი აზრით, განუკურნებელი სენია; რადგან ბრიყვის გამოსწორება-გარდაქმნა შეუძლებელია, ამიტომ მისი შეწევნა მხოლოდ სიკვდილია.

ძნელია მოსმენა ბრიყვის მსჯელობათა, მით უმეტეს გადიდკაცე-ბულისა, მაგრამ თუ ამასთან იგი ახალგაზრდაცაა და თანაც ხელმწიფე, მაშინ, როგორც პოეტი ამბობს: „ვაჟ და უი, უი და ვაჟ“.

მკვლევართა აზრით, კასიას ეპიგრამები, მიძღვნილი ქალებისადმი კავშირს ამჟღავნებს სემონიდე ამორგოსელის სატირულ ლექსთან ქალების შესახებ.¹¹ თუ ქალი ჭკვიანია, ამავედროულად იგი შრომის-

¹¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 177.

მოყვარეცაა, ხოლო თუ ბოროტია ბუნებით, მაშინ იგი ზარმაციც და უსაქმურიცაა.

კასია იზიარებს ეზდრას შეხედულებას ქალებზე, რომლის მიხედვითაც, ქალთა მოდგმა ყველა სხვა მოდგმაზე უფრო ძლიერია. საერთოდ ქალი, თუნდაც მშვენიერი გარეგნობისა, ბოროტებაა, მაგრამ ორმაგი ბოროტებაა უზნეო და უსაქმური და თანაც შეუხედავი ქალი. სხვაგან პოეტი ლამაზ ქალს ზომიერ ბოროტებას უწოდებს, რადგან სილამაზე ერთგვარად ნუგეშის მომგვრელიცაა, მაგრამ თუ სილამაზეც აკლია, მაშინ მას მხოლოდ უბედურება და მწარე ხვედრი მოაქვს:

„ზომიერი ბოროტებაა გარეგნობით ლამაზი ქალი,
რადგან სილამაზე ნუგეშის მომგვრელია,
მაგრამ თუ ქალი უსახურია,
მაშინ ნახე უბედურება და ბოროტი ხვედრი“.